ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები

I კვარტალი, 2024

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი

- ## ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა

2024 წლის I კვარტალში გაგრძელდა ღონისძიებები, რომლებიც ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მნიშვნელოვანი ამოცანაა მოსახლეობის დროული და მუდმივი ინფორმირება ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმებსა და შედეგებზე. სწორედ ამ მიზნით მიმდინარე და გახსნილი საქმეების შესახებ სამინისტროში ბრიფინგების ჩატარდა.

აღნიშნული ბრიფინგები პირდაპირ ეთერებში გადაიცემა სხვადასხვა სატელევიზიო არხის მეშვეობით. ამასთან, ინფორმაცია ვრცელდება ინტერნეტ სააგენტოებსა და სამინისტროს ოფიციალურ არხებზე.

2024 წლის 27 თებერვალი - სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე ვრცლად ისაუბრა ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით გატარებულ საპოლიციო ღონისძიებებზე. გამოეხმაურა ონლაინ სივრცეში ნარკოტიკების

გასაღების ფაქტებს. მოსახლეობას მასშტაბური და კომპლექსურად ჩატარებული ოპერაციების შედეგად არაერთი ნარკორეალიზატორის დაკავების ფაქტის შესახებ აცნობა.

2024 წლის 22 მარტი - სამინისტროს წარმომადგენლები კამპანიის - „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტებს შეხვდნენ. შეხვედრაზე სამინისტროს წარმომადგენლებმა ისაუბრეს სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებზე, მათ შორის, ტრეფიკინგთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და პრევენციაზე, ასევე, ნარკოდანაშაულთან ბრძოლასა და საგამოძიებო პროცესში კრიმინალისტიკური ექსპერტიზის მნიშვნელობაზე. სამინისტროს წარმომადგენლებმა სტუდენტების შეკითხვებს ამომწურავად უპასუხეს.

2024 წლის I კვარტალში, განმეორებით, „რუსთავი-2“ -ის სატელევიზიო ეთერში გაშვებულ იქნა კრიმინალური დოკუმენტური სერიალის - **„პოლიციის ფაილების“** სამი სერია. განმეორებითი ჩვენების ერთი სერია ქურდულ სამყაროსთან ბრძოლას მოიცავდა, რომელიც გახმაურებულ საქმეზე დაყრდნობით არის გადაღებული და მიზნად ისახავს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას „კანონიერ ქურდობასთან“ ბრძოლის კუთხით.

- [საგზაო უსაფრთხოება]

2024 წლის 8 თებერვალი - საგზაო უსაფრთხოებისა და სამინისტროს საპატრულო პოლიციის საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორები თბილისის №141 საჯარო სკოლის მოსწავლეებს ესტუმრნენ. შეხვედრაზე საგზაო მოძრაობის წესებზე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენასთან დაკავშირებულ სანქციებზე, პატრულ-

ინსპექტორის ფუნქცია-მოვალეობებსა და საგზაო მოძრაობაში ჩართული მოქალაქის უფლება-მოვალეობებზე ისაუბრეს.

2024 წლის 27 მარტი - სამინისტროს საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორები ესტუმრნენ თბილისის №210 საჯარო სკოლის მე-7, მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეებს. შეხვედრის დროს განიხილეს საგზაო მოძრაობის წესებთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. პატრულ -ინსპექტორებმა ამომწურავად უპასუხეს ბავშვების მიერ დასმულ კითხვებს.

სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირმა (შემდგომში - სსიპ) მომსახურების სააგენტომ, 2024 წლის I კვარტალში, გააგრძელა საინფორმაციო კამპანია, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე საინფორმაციო ბანერები მომზადდა. ბანერებზე განთავსდა ინფორმაციები მომსახურების სააგენტოს სერვისების და სიახლეების შესახებ, კერძოდ:

2024 წლის 11 თებერვალი - მართვის მოწმობის დამზადების ვადები;

2024 წლის 27 თებერვალი - სატრანსპორტო საშუალებათა კატეგორიები;

2024 წლის 6 მარტი - სატრანსპორტო საშუალებათა ქვეკატეგორიები;

2024 წლის 14 მარტი - AM კატეგორიაზე გასვლის წესი;

2024 წლის 19 მარტი - სატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ გამართულობასთან დაკავშირებული კითხვები;

2024 წლის 26 მარტი - მართვის მოწმობის მისაღები თეორიული გამოცდის საკითხები;

2024 წლის 31 მარტი - ავტომობილისა და მოტოციკლის ტრანზიტული სანომრე ნიშნების გაცემის წესი და დიზაინი შეცვალა.

აღნიშნული ბანერები განთავსდა სამინისტროს სსიპ - მომსახურების სააგენტოს ვებგვერდსა და ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე, ასევე, გავრცელდა საინფორმაციო სააგენტოს მიერ.

- [საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური]

2024 წლის 12-14 მარტი - სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება (შემდგომში - სსდ) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა, კახეთის რეგიონში, ქალაქ ყვარელში, სამოქალაქო უსაფრთხოების კომპლექსური სამაშველო სწავლება „დურუჯი 2024“ ჩაატარა. სწავლების მიზანს, ყვარელში არსებული განგაშის გამაფრთხილებელი სისტემის ტესტირება, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისა და კოორდინირებული მოქმედებების დახვეწა, ასევე, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა.

წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით, სიმულაციურ სწავლებაში, სამინისტროს დანაყოფებთან ერთად, საქართველოს ეროვნული გვარდია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამშრომლები, საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა მონაწილეობდა.

აღნიშნული სწავლების შესახებ ინფორმაცია, ფოტო - და ვიდეომასალა განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ არხებზე.

2024 წლის 26 მარტი - სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების ინსტრუქტორებმა გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) ორგანიზებითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მოხალისეთა სწავლების შესახებ ტრენერთა ტრენინგი გაიარეს.

სწავლება ბორჯომსა და ბათუმში ჩატარდა და მასში მონაწილეობა ადგილობრივმა მოხალისეებმაც მიიღეს.

სწავლება მოიცავდა, როგორც თეორიულ, ისე, პრაქტიკულ კომპონენტებს. ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებმა განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა პირველადი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა, ტყის ხანძრის შემთხვევაში ადრეული სტადიის ინტერვენცია, საზოგადოების ჩართულობა სამაშველო ღონისძიებაში და ეფექტიანი კომუნიკაცია კატასტროფის დროს.

აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა სამსახურის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე.

- ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი

2024 წლის I კვარტალი - UNFPA-ს ორგანიზებით დაბა თამარისის საჯარო სკოლისა და თეთრიწყაროს პირველ საჯარო სკოლის მოსწავლეებთან გაიმართა ნაადრევი ქორწინების თემატიკასთან დაკავშირებული შეხვედრა. შეხვედრის ფარგლებში განხილული იქნა არასრულწლოვნებზე ნაადრევი ქორწინების მავნე ზეგავლენა და სამართლებრივი შედეგები.

2024 წლის 27 თებერვალი - სამინისტროს წარმომადგენლები მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეჟბადინის საჯარო სკოლას ესტუმრნენ. შეხვედრაზე მოზარდებს ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდათ ნაადრევი ქორწინების, ბულინგსა და სხვა არაერთ აქტუალურ თემაზე.

- სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“

სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს „112“ პროექტის - „მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდა“ - ფარგლებში, თებერვალი-მარტის თვეებში, საჯარო და კერძო სკოლების 500-მდე მოსწავლე ეწვია.

სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ წარმომადგენლებმა მოზარდებს გადაუდებელი დახმარების ნომრის სწორად გამოყენებისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები გააცნეს. მოსწავლეებმა ინფორმაცია მიიღეს იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს გადაუდებელი შემთხვევა, რა ნომერზე უნდა დარეკონ მსგავსი შემთხვევების დროს და როგორ უნდა ითანამშრომლონ „112“-ის ოპერატორთან. მოზარდებს, ასევე, განემარტათ არამიზნობრივი ზარის განხორციელების საფრთხეები და ის სანქციები, რომლებიც ცრუ ზარის განხორციელების შემთხვევაშია გათვალისწინებული.